

დეკემბერსა :იზ:

პოვნამ წმილათამ ანანიამსი, აზარიამსი, მისაელისი*



ელთა მათ ოდენ ვარამის სპარსთა მეფისათა გამოჩნდეს ძუალნი ნებითა ღმრთისადათა ქველის-მოქმედისადათა. ოა გამოჩნდეს ესრეთ:

ზაცი ერთი ჰურიამი ჯდა ტაზართა მათ ნაბუქოდორნოსორისთა ბაბილონს, სახლსა შინა ერთსა მარტოდ. ოა მივიდოდეს მისა კაცები მრავლად მრავლით ადგილით და განიკურნებოდეს მრავალთაგან საღმობათა თვსთამსა და ძალი იგი კურნებისაჲ არა უწყოდეს, თუ ვისგან არს, რამეთუ რომელნიმე ვერე ჰგონებდეს, თუ გრძნებით რადმე ესე საქმენი იქმნებიან, რამეთუ მრავალნი კაცნი განიკურნებოდეს, რამეთუ წარმართ იყვნეს მკვდრნი ქალაქისანი მის, და ძალი იგი კურნებისაჲ მის ვერ გულისხმა-ყვიან, თუ ვინაჲ არს.

ძას ჟამსა შინა იყო სოფელსა მას კაცი ერთი, კარანი მეფისაჲ, და სახელი მისი მალფა. ოა იყო კაცი იგი ქრისტიანეჲ. ოა ვითარცა იქმნა მისსა მადლი ღმრთისა მიერ, სხუაჲ კაცი დაემოწაფა ცელითა მისითა ქრისტიანებასა. ოა იყო კაცი იგი ჰურიამი, და იქმნა ძლიერებაჲ სულისა წმიდისაჲ მის თანა, და იქმნა იგი მოვანე. ოა ჰრქუა მას კაც-მან მან აზნაურმან, მთავარმან მის სოფლისამან: «მესმა მე, ვითარმედ ბაბილონს კაცი ერთი ზის სახლსა შინა მარტოდ, ტაზართა ნაბუქოდორნოსორის მეფისათა, და მივლენ მისა უძღურნი და სნეულნი და განიკურნებიან საღმობათა თვსთაგან. ოა აწ შენ შედმოსე სამოსელი ჰურიამთაჲ და მივედ კაცისა მის, რომლისა ცელითა კურნებაჲ იგი იყოფის, და მიიწიე ზედა და იხილე, რომლითა-ძი სახითა იყოფის კურნებაჲ იგი მის მიერ».

ოა აღდგა კაცი იგი მორწმუნეჲ ჰურიამი და წარვიდა, პოვა კაცი იგი ჰურიამი, რამეთუ ჯდა იგი მარტოდ. ოა ვითარცა დაყო მის თანა ჟამი ერთი და იხილა, რამეთუ მოვიდოდეს მრავლად კაცისა მის საღმობათაგან თვსთა, და მან აღიღის სარწყული ერთი წყლისაჲ და დადგის იგი საშუალ სახლსა სერით ვიდრე ცისკრადმდე. ძაშინლა ვითარ ცისკარი არნ, აღიღის წყალი იგი, რომელ საშუალ სახლსა მას დაუდგამნ, და გარდაასხის

სნეულებასა მას, და იყოფოდა კურნებაჲ.

10 ოა ჰურიამი იგი რომელ მორწმუნეჲ იყო, სცა მას პური და ღვინო და განაცხრვო და ვითარცა დაათრვო, ჰრქუა მორწმუნემან მან ჰურიამან მას ჰურიასა, რომლისა მიერ კურნებაჲ იგი იყოფოდა: «გლოცავ შენ, მარტუ მე, თუ რაჲ უყვი კაცებსა იმას, რომელნი განიკურნნიან შენ მიერ, რამეთუ ჯერ-გებულ არს შენდა რქუმაღ ჩემდა, რამეთუ მეცა ჰურიამ ვარ, ვითარცა-ვე შენ, რამეთუ გხედავ შენ, რამეთუ არცა სიტყუაჲ რაჲ სთქუ და არცა სხუაჲ განგებაჲ რაჲ ჰყვი, არამედ 20 მარტოდ წყალი ეგე ხოლო აღიღი და გარდაასხი ზედა სნეულთა მათ, და კურნებაჲ იქმნების».

ოა ვითარცა ჯეკმა ჰლოცვიდა იგი ჰურიასა მას, აუწყა მას, თუ რომლითა კურნებაჲ იგი იქმნების, და ჰრქუა: «აწ ვინაითგან ვგოდენ მევედრები, გითხრა შენ, თუ ვინაჲ იყოფის კურნებაჲ ეგე კაცებისაჲ მაგის თითოეულად საღმობათაგან, რამეთუ არა ჩემგან რაჲ არს კურნებაჲ ეგე, არამედ წმიდათა ანანიანთგან არს». სრქუა მას ურწმუნომან ჰურიამან, რამეთუ ამას ადგილსა 30 დგანან ძუალნი ნეტართა ანანიანთნი, რომელთა მიერ იყოფის კურნებაჲ ეგე: «და ესე, რომელ აღვაგის სარწყული წყლისაჲ და დავდგი საშუალ სახლსა ამას, აღმოუქმნიეს მათი ლუსკუმაღ ცხობილითა აღიზითა, კირითა და ამისიკითა».

35 ძაშინ ჰრქუა მას მორწმუნემან მან ჰურიამან: «და შენ ვინაჲ უწყი, უფალო, თუ ამას ადგილსა დასხმულ არიან ძუალნი მათნი?» ჰრქუა მას ურწმუნომან მან ჰურიამან: «მამათა ჩუენთაგან და მათიანისაგანცა ვიცი მე, რამეთუ წერილ არს მათთვს, თუ ვითარ სახედ აღესრულნეს ნეტარნი იგი და დაისხნეს ამას ადგილსა».

ძაშინ ვითარცა მეცნიერ იქმნა მორწმუნეჲ იგი ჰურიამი ყოველთა მათ სახეთა, რომლისათვს-იგი მისრულ იყო კითხვად და გამოკულევად, მაშინ აღდგა და მივიდა მთავრისა მის, რომელმან-იგი 45 წარავლინა, და უთხრა მას ყოველი. ოა ვითარ ესმა ჰურიისაგან, რომელი დამკვდრებულ იყო ბაბილონს, ადგილსა მას, სადა ნეტარნი ანანი-

* ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1963. გვ. 84-88.

ათნი დადებულ იყვნეს, და ვითარცა ესმა მთა-
 აგარსა მას ყოველივე განჭეშმარიტებულად მო-
 რწმუნისა მისგან **ჰურიისა**, აღდგა და მივიდა
 ვანად და ჰრქუა ვანთა უხუცემისა მას, რამეთუ
 სახელი მისი იყო **ტერანტონ**, და ჰრქუა: «აჰა
 ესერა გამოცხადნეს ძუალნი წმიდათა **ანანია-**
ათნი სახელითა უფლისა ღმრთისა ჩუენისადათა
ბაბილონს, სახლსა შინა ერთსა ურწმუნოდასა-
 სა». **ო**ა ვითარცა ესმა **ტერანტონს**, ჰმადლობდა
 ღმერთსა და ჰრქუა მთავარსა მას: «აჲ მოვედ და
 ვშურებოდით, ჰე, ღათუ ინებოს ღმერთმან და აღ-
 მოვიზუნეთ იგინი ადგილისა მისგან და დაესხნეთ
 იგინი საწამებელსა შინა ღიღითა პატვიითა».

სრქუა მთავარმან მან: «უფალო, სიბრძნით ვშ-
 ურებოდით, და თუ ღმერთმან ინებოს და საქმედ
 იგი კელთ-გვდვას». **ო**ა აღდგა **ტერანტონ** და
 თანა წარიყვანა დიაკონი თვისი, რამეთუ სახელი
 მისი **ტერგილა**. **ო**ა შეიმოსეს ორთავე მათ ნეტარ-
 თა სამოსელი სამდაბიოდ, რადთა უცნაურ იქმნენ
 თავნი თვისნი ვერ ცნობისათჳს მათისა **ჰურიისა**
 მისთჳს, თუ ქრისტეანენი არიან, და წარვიდეს
 კაცისა მის, ვითარ მიზეზად კურნებისა.

ოა პოვეს კაცი იგი **ჰურიად** და მოიკითხეს იგი.
ოა შინ ჰრქუა მათ **ჰურიამან**: «რად გივმს თქ-
 უენ, რად მოხუედით აქა?» ჰრქუა მას **ტერანტონ**:
 «ცოლი ვისუ, და შვილი არა მებადების, მისთჳს
 მოვედ შენდა». ზუალად ჰრქუა **ჰურიამან შილას**:
 «შენ რად გივმს?» და მან ჰრქუა: «ჭირისათჳს
 სულისა ჩემისა, რამეთუ მრავალ საღმობა არს
 ჩემდა, მოპოვნებად შენ მიერ კურნებისა».

ოა მაშინ წარვიდეს ნეტარნი იგი და იყიდეს
 ღჯნოდ **ჰურიათად**. **ო**ა ვითარ მოვიდეს მუნვე,
 სუეს, განმხიარულდეს. **ო**ა ვითარცა დაათრვეს
ჰურიად იგი, მაშინ იწყეს გამოკითხვად სიბრძნით
 და ჰრქუეს **ჰურიასა** მას: «უფალო, რადთა ჰყოფ
 კურნებასა ამას, მარქუ ჩუენ». სრქუა მათ: «წეს
 არა არს ჩემდა რქუმად თქუენდა, რამეთუ თქუენ
 წარმართ ხართ, და მე **ჰურიად** ვარი. **ო**ლო სი-
 ყუარულისათჳს, რომელ ჰყავთ თქუენ ჩემ თანა,
 გითხრა თქუენ, თუ ვითარ არს: აჰა ჩემი ესე
 თორმეტი წელი არს, ამას რად ადგილსა ვზი.
ოა ვინადთგან აქა მოსრულ ვარი მე, დედაკაცსა
 არა შეხებულ ვარი მე, აქა რად ვზი. **ო**რა ზოლო
 თუ ჩემი რად არს საქმე ესე, არამედ მამათად და
 მამის-მამათა ჩემთად, წმიდათა მათ **ანანიაეთჳს**,
 რამეთუ ადგილსა ამას ღვანან, და კურნებად ესე
 არა არს ჩემი, არამედ მათ მიერ არს». **ო**ა შინ
 გულისხმა-უყო მათ, ვითარ პირველსა მას კაცსა
ჰურიასა მორწმუნესა.

ოა შინ მიუგეს ნეტართა მათ და ჰრქუეს: «აჲ
 დღისი და ღამე აქა შეჯდია?» ჰრქუა მათ: «დღესა
 შაბათსა მოვიდი, სანთელი აღვანთი და საკუმევე-
 ლი ვაკუმი და მაშინ ვანად ჩემდა წარვიდი. **ო**ვ-
 ელსა შაბათსა ვერ გჰყოფ».

ოა შინ ნეტართა მათ ძმათა... **ო**ითარ ფრიადვე
 მეცნიერ იქმნეს **ტერანტონ** ხუცესი და **შილა**
 დიაკონი, აღდგეს და წარვიდეს ვანად თჳსა და
 მიუთხრეს მთავარსა მას, რომელმან წარავლინ-
 ნა იგინი, ყოველივე, რად-იგი იხილეს და ესმა,
 ვითარცა პირველმან მან კაცმან მორწმუნემან
ჰურიამან უთხრა. **ო**ერმე ჰრქუა **ტერანტონ** მთა-
 ვარსა მას: «აჲ ესერე ჯერ-არს ჩუენდა შრომად,
 რადთა ღმერთმან განგვმარჯოს და შეუძლოთ
 კრძალვით აღმოღებად მათი».

ოა მაშინ წარვიდა მთავარი იგი და ვანთა უხუ-
 ცემისი იგი და დიაკონი და **ჰურიად** იგი მორწმ-
 უნედ, და წარიყვანეს თანა გუნდი ერთი ერთა მრ-
 ავალთა სპარაზენად ჭურვილი და წარიდეს თანა
 წერაქჳ და ერუად და ქვისა აღმოსაკუეთელნი
 და მიიწონეს ადგილსა მას დღესა შაბათსა სრ-
 ბით. **ო**ა ვითარცა ღამე იქმნა, შევიდეს ადგილსა
 მას. **ო**მრთისა მიერ ესრეთ განეშადა, ვითარმედ
 ჟამსა მას რადთურთით არავინ დაემთხვა. **ო**ითარ
 შევიდეს სახლსა მას, თაყუანი-სცეს და იწყეს
 თხრად ადგილისა მის. **ო**ა ადგილმან მან არა
 ადგილ-სცა რადთურთით რკინასა მას, რომელ-
 ითა თხრიდეს. **ო**აშურეს ღიღითა შრომითა, და
 არად ღონედ იქმნა. **ო**ა შინ დასულბეს და არა
 უწყოდეს, რადმცა ყვეს. **ო**ა შინ თქუეს: «მოვედით
 და თაყუანის-ვსცეთ, ნუუკუე ისმინოს უფალმან
 ღმერთმან. **ო**ა ვითარცა თაყუანი-სცეს, თქუა
ტერანტონ: «უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო,
 ისმინე ლოცვისა ჩუენისადა და შეიწყნარე თხოვად
 ესე ჩუენი და ღირს მევენ ჩუენ ნათელსა მას სა-
 უკუნესა კელითა წმიდათა მიერ **ანანიაეთითა**,
 რომელთა ალითა შეჭურვილი იგი ცეცხლი, ვი-
 თარცა ცუარი ცისკრისადა, დათრუნეს. **ო**კუეთუ
 იყვნენ ნეტარნი იგი ამას ადგილსა შინა დასხმულ,
 გამოცხადნედ, რადთა რაჟამს დაესცეთ ადგილსა
 ამას წერაქჳ, ადგილი ესე განელენ». **ო**ა აღიღო
 თჳთ **ტერანტონ** წერაქჳ იგი კელითა თჳსითა
 და ვითარცა დასცა ადგილსა მას, მუნთქუესვე
 განიყარნეს ალიზნი იგი ურთიერთას და განელო
 ადგილი იგი და გამობრწყინდა შინადთ ნათელი
 საშინელებებისადა წმიდათა **ანანიაეთგან** და გა-
 ნათლდა ყოველი იგი სახლი, ვიდრემდე ძალმან
 მან ნათლისამან, რომელი გამობრწყინდა წმი-
 დათა მათგან, ნათელი იგი სანთელთა მათთად

დაშრიტა. ოა დაეცა ზარი დიდი ყოველთა, ვიდრემდე შეწყვდნა ყოველთა სასტიკებისა მისგან ნათლისადასა, რომელი გამობრწყინდა ნეტართა მათგან.

ჰერმელა სადამე გონებასა მოდგეს და თაყუანი-სცეს, და მერმელა აღანთნეს სანთელნი იგი, რომელ დაშრტეს, და შევიდეს ადგილსა მას და პოვნეს თავნი ნეტართანი მათ ცოცხალნი და მკლავნი და ბარკალ-სხვლნი, და სხუად იგი ყოველი მიწად გარდაქცეულ იყო, რამეთუ მრავალი ჟამი იყო მათი, ვინადგან აღსრულებულ იყვნეს სოფლისა ამისგან. ჰერმე ყოველი იგი მიწითურთ აღკრიბეს და რადთურთით არა დაუტევეს ადგილსა მას და დიდითა სწრაფითა და გულს-მოდგინებითა წარვიდეს და რადთურთით კაცთაგანი მათ არაჲნი შეემათხა მას დღესა.

ოა ზვალისა დღე მოვიდა **ჰურიადი** იგი, რომელი დამკვდრებულ იყო ადგილსა მას, და იხილა ადგილი იგი განღებულნი, და ნეტარნი იგი **ანანიაეთნი** წარხუმულ იყვნეს. ჰას ჟამსა იქმნა აღძრვად დიდი **ჰურიათად** მათ, ვითარცა იხილეს, რამეთუ წარიხუნეს ნეტარნი იგი ადგილისა მისგან. სკითხეს და გამოიკულიეს დიდითა შრომითა, ვიდრემდე მიიწივნეს ზედა. ჰაშინ იქმნა დიდი ღაღადებად, ვიდრემდის მიიწია სიტყუად იგი მეფისა მის. ოა მოუწოდა მთავარსა მას მეფემან, იწყო კითხვად მისა და ჰრქუა: «ნანდვლ გერეთ არს, ვითარ-გეე შემასმენენ ჩუენ **ჰურიანი** იგი?» მიუგო მთავარმან მან და ჰრქუა: «რადთურთით გეე საქმედ მე არა უწყი».

ჰაშინ უბრძანა **ვარამ** მეფემან შეკრვად მისი. ოა კრულ-ყვეს იგი შუდ თუე და გუემეს იგი მოუგონებელითა ტანჯვითა, და მან რადთურთით არა თავს-იდვა, რომლისათვის-იგი ჰკითხვიდეს მას, ვითარმედ ნანდვლვე **ანანიაეთნი** შენ თანა არიან? და წარაგო სახლისაგან თვისისა მრავალი, ვიდრე მიწვენადმდე მისა დიდსა სიგლაზაკესა, რამეთუ იყო კაცი იგი მდიდარ სოფლისა ამის საცხოვრებელითა და ღმრთით და რადთურთით მან არა შეჰრაცხა ჭირი იგი და ტანჯვად და არცა დამდაბლებად იგი ამის ცხორებისაგან. ოა მერმე განიტევა იგი კრულებათა მათგან ნებითა ღმრთისადათა, და უფროდს-ლა იქმნა დიდებად მისი პირველისა მის, და იქმნა საყუარელ მეფისა, ვითარცა-იგი იყო. ოა მერმე აღუშენა ნეტართა მათ საწამებელი სიწმიდისად ვანთა მათ შინა **ანტონის** ნეტარისათა და დასხნა იგინი მუნ

დიდითა პატვიითა.

ოა იქმნა მას ჟამსა ოდენ დასნეულებად დიდითა სნეულებითა ცოლისა მის მთავრისად, და იყო მიახლებულ ვიდრე სიკუდიდმდე. ოა მაშინ მოვიდა ქმარი იგი მისი ვანთა მათ და აღიღო ნაკურთხევისაგანი ნეტართად მათ და დაასხა სნეულსა მას, რომელი-იგი მიახნდა სიკუდიდ, და მუნთქუესვე განიკურნა საღმობისა მისგან თვისისა.

სე წინამთი სასწაული იქმნა. ოა ერთი სხუად დედაკაცი, გუემული ეშმაკისაგან, მოიყვანეს წინაშე წმიდათა მათ და აღიღეს ნაკურთხევისა მისგან ზეთისად ნეტართად მათ და შთაუსხეს ცხვრთა მისთა. ჰას ჟამსა ღაღადებად დგა დევი იგი კვობით და თქუა: «ვად არს ჩემდა წმიდათაგან **ანანიაეთ** მიერ, რამეთუ იგინი სამნი არიან, და ჩუენ — ოც და ათ, და აჰა ესერა განგუდვენიან ჩუენ». ოა მასვე ადგილსა მუნთქუესვე განიკურნა დედაკაცი იგი და სხუად არღარა იხილა მან სული იგი უკეთური.

ოა სიმრავლე უძლურებათაგან მივიდოდეს და მიიწეოდეს წმიდასა მას საწამებელსა და მუნთქუესვე მოიპოებდეს მადლსა კურნებისასა თითოეულად საღმობათა მათთაგან.

ჰაცი ერთი იყო **ეფრათა** ქალაქით, და ეშორა ადგილისა მისგან ას და ოც ფრასაზ ოდენ, სადა ნეტარნი იგი **ანანიაეთნი** იყვნეს. ოა იყო თუთ უშვილო. ოა იყო კაცი იგი უმდიდრედს ყოველთა მკვდრთა მის ქალაქისათა. ოა მკვდრი რადთურთით არა იყო მისი. ჴითარცა ესმა წმიდათად მათ **ანანიაეთი**, მივიდა ადგილსა მას ლოცვად და თხოვად, და მათ მიერ ითხოვა ღმრთისაგან. ოა ისმინა ღმერთმან თხოვად მისი, და ესხნეს მას სამ ძე, და დასდვა მათ სახელები: პირველსა მას **ანანია** და მეორესა მას **აზარია** და მესამესა მას **მისაელ**, რამეთუ წინამთვე აღთქუმა-ყო მამამან მათმან: თუ მესხნენ მე ძეებ, სახელები ნეტართად მათ დაესდვა და შეეწირნე იგინი უფალსა ღმერთსა.

ოა ვითარცა იქმნა იგი, მეგრ მრავალნი სხუანიცა სასწაულნი და საკვრველნი იქმნეს ნეტართა მათ მიერ, და რომელნი-იგი გარემოდსნი იყვნეს წმიდისა მის საწამებელსა, დღისი და ღამე აღიმსობდეს ვედრებითა და ლოცვითა, და იქმნებოდეს ძალნი და სასწაულნი დიდ-დიდნი სადიდებელად ღმრთისა, რომლისად არს დიდებად და ძალი, აჴ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე. ომენ.